პრესრელიზი

19 თებერვალი 2015 წელი

თბილისის განვითარების ფონდმა, ორ სარეაბილიტაციო პროექტზე კონკურსი გამოაცხადა. დავით აღმაშენებლის გამზირი N184 და დავით აღმაშენებლის გამზირი N36-34-ში მდებარე საცხოვრებელ სახლებს გამაგრება-რესტავრაცია და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება. კონკურსი გამოცხადდა საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე და პირობები გამოქვეყნდა როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე, ასევე ფონდის ოფიციალურ გვერდზე
http://contest.procurement.gov.ge/?act=2&cid=2938,
http://www.tdf.ge/index.php/2014-11-07-15-06-09/2014-11-08-17-10-32

დავით აღმაშენებლის N184 -ში მდებარე 1891 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ამჟამად შენობა მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია და სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს.
საპროექტო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა 45 000 ლარი.
დავით აღმაშენებლის N36 -ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, რომელიც 20-ე საუკუნის დასაწყისში საზოგადო მოღვაწის ერასტი ჭავჭანიძის მიერ აშენდა. მაღალმხატვრული ღირებულების მქონე სახლი იტალიელი მხატვრების მიერაა შესრულებული. შენობა მრავალი წელია მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია და გადაუდებელ გამაგრებასა და რესტავრაციას მოითხოვს.
აღმაშენებლის N36-ს გაგრძელებაა N34, სადაც შენობის გამაგრება და ფასადის რეაბილიტაციაა ჩასატარებელი.
დავით აღმაშენებლის N34-36 საპროექტო შესყიდვის ღირებულება 80 000 ლარია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვმართეთ თბილისის განვითარების ფონდის ოფისში, მისამართზე ძმები ზუბალაშვილების N48
განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 5.03.2015 18:00 სთ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
2 47 00 14 n.kemashvili@tdf.ge
თბილისის განვითარების ფონდის პიარ-მენეჯერი **ნათია ქემაშვილი.**